

ლაგოდების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი №3

17.06.2020 წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე- კარლო ჯამბურია

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. კომუნიკაციის სტრატეგიის შესახებ.
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტის შესახებ.
3. ძალადობის წინააღმდეგ სარეკლამო რგოლის მომზადების შესახებ.
4. გენდერული კვირეულის შესახებ.
5. სხვადასხვა.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი უფრო ეფექტურს გახდის სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის კომუნიკაციას და შესაძლებელი იქნება საბჭოს მიზნების უფრო ადვილად განხორციელება.
2. საჭოს წევრებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებების გასატარებლად გამოყოფილი თანხის ეფექტური და მიზანმიმართული ხარჯვის შესახებ.
3. ლაგოდების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამჟამადც მონაწილეობას იღებს ქალთა საინფორმაციო ცენტრის კამპანიაში ქალთა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ.
4. 2020 წლის დასაწყისში დაიგეგმა მუნიციპალიტეტში გენდერული კვირეულის ჩატარება. აღნიშნულ ღონისძიებას ხელი შეუსალა ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ. საბჭომ იმსჯელა არსებული რეალობის გათვალისწინებით კვირეულის ჩატარების შესაძლებლობებზე.
5. საბჭოს წევრებმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილეს სხვადასხვა საკითხი, მათ შორის ქ. ლაგოდების წყალმომარაგების შესახებ; რანის სტადიონთან ჰიგიენური წერტილების და საგზაო ნიშნების მოწყობის შესახებ; საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლებში ფსიქოლოგის საჭიროების შესახებ; რანის სტადიონზე ატრაქციების

უსაფრთხოების შესახებ; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან მათ მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობის შესახებ.

დაადგინეს:

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, სხდომაზე განხილულ საკითხებთან და გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით

- ა) მომზადდეს მიმართვა და გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს.
- ბ) მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა საბჭოს მორიგ სხდომაზე წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის და გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტის ათვისების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე:


მუნიციპალური გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე :



/კ. ჯამბურია/

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის
საბჭოს მდივანი:



/თ. მუმლაძე/